ნუგზარ შატაიძე

# დაუკარით საჭიდაო

ქართული ჭიდაობა ქართლ-კახეთის სოფლებში უფრო საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე იმართებოდა – ადრე გაზაფხულიდან მოკიდებული გვიან შემოდგომამდე ყველგან, სადაც კი ნახერხმოყრილი საჭიდაო ეგულებოდათ, უამრავი ხალხი იკრიბებოდა: მზე რომ საშუადღეოდან გადავიდოდა, ზურნის წიოკი და დოლის ბაგაბუგი ჟრუანტელივით დაუვლიდა სოფელს, ააფორიაქებდა, გულს აუძგერებდა და საჭიდაოსკენ დასძრავდა. ორღობეებში მოშლიგინობდნენ თვალებგაფაციცებული ბალღები, მოდიოდნენ ჭარმაგი გლეხკაცები, ღიმილით მოიკაკვებოდნენ გაჯეელებული, სახეგანათებული ბერიკაცები. თელებქვეშ, გაქერქილ მორებზე ძველი დამკვრელები ისხდნენ, მედოლე თასმით დოლს ჭიმავდა, მეზურნეები ყამიშებს ენით ასველებდნენ, ხმას უსინჯავდნენ. მოკალოებულ ნახერხში უკვე ბუღრაობდნენ ბალღები, დამკვრელები ჯერ იმათ აქეზებდნენ, ჯერ იმათთვის აჭყვიტინებდნენ ზურნებს. თანდათანობით მძლავრობდა ძველი, მრავალჭირნანახი „საჭიდაო“. თელებქვეშ შეკრებილ ჯეელობას უცნაურად უციმციმებდა თვალები. ცალკე გამდგარიყვნენ სახეწამოღუებული მოზრდილი ბიჭები, მძიმედ აუდ-ჩაუდიოდათ მკერდი, მღელვარების დასაფარავად ხუმრობდნენ და მალულად იყურებოდნენ ატკრციალებული, საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული გოგოების გუნდისაკენ. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა, სოფელი შავოსანი დედაბრების ანაბარა რჩებოდა.

წრეში დატრიალებული, საგანგებოდ გამოყოფილი ბიჭები მუქარით იქნევდნენ იფნის სახრეებს, მოზღვავებულ ხალხს უკან ახევინებდნენ. ბალღები კი მაინც არ ეშვებოდნენ ერთმანეთს – დაღლილები, არაქათგამოცლილები რაღაცნაირი თავგანწირვით ბღლარძუნობდნენ და როცა სახრის წვერი იმათაც აუწვავდა კანჭებს, მაშინღა მოდიოდნენ გონს, მაშინღა დაფაცურდებოდნენ, კბილების კრეჭითა და სიმწრის სიცილით გარბოდნენ წრიდან და თელებს ებღოტებოდნენ, ზედ ადიოდნენ და იმათ გაბურდულ ტოტებში იკავებდნენ ადგილს.

ჯერ უწვერულვაშო ბიჭები გამოჰყავდათ, ახლადმოჩრიხვული მამლაყინწებივით რომ ძიძგილაობდნენ და ხანდახან, მეტისმეტი მონდომებისაგან, რომელიმე მათგანი ჭიდაობის წესს თუ დაარღვევდა, მსაჯი გულკეთილი ღიმილით წამოუთაქებდა თავში და იმასაც, სხვა რა ჩარა ჰქონდა, დარცხვენილი გარბოდა მოედნიდან.

მერე და მერე გამოჰყავდათ კარგად დაღვინებული ფალავნები. მეტოქეები თვალით ზომავდნენ ერთმანეთს, მღელვარებისგან გაოფლილ ხელისგულებს ნახერხით იმშრალებდნენ. მსაჯი რიგრიგობით აცხადებდა იმათ ვინაობას და ჭიდაობის დაწყების ნიშანს აძლევდა...

ქართულ ჭიდაობას თავდაპირველად საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა და სამხედრო მომზადების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა, ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ სპორტის ეს ეროვნული სახეობა საქართველოს იმ კუთხეებში უფრო იყო განვითარებული, სადაც მოსახლეობა მტრის მუდმივი შემოსევებით ზარალდებოდა. ქართულ ჭიდაობაზე არაერთი ცნობა მოიპოვება ქართლის ცხოვრების ქრონიკებში, საინტერესო საფალავნო ამბებზე მოგვითხრობენ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ (XII ს.). ალავერდის ტაძრის (XI ს.) კარიბჭის თავზე შემონახულია ბარელიეფი, რომელზეც ქართული ჭიდაობის მომენტია აღბეჭდილი. XIII საუკუნის ისტორიულ წყაროებში აღწერილია მეფე ლაშა-გიორგის დროინდელი მოჭიდავეების – ქართლელი ხიზამბარელისა და კახელი ბებურიშვილის შერკინება, ხოლო XV საუკუნის მემატიანე მოგვითხრობს ათაბაგ მზეჭაბუკისა და თათართა უძლეველი ფალავნის – ძალანის ჭიდაობის ამბავს: „იყო უსჯულოსა მის მთავარისა კაცი ერთი, ფალავანთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსაც სახელად ძალანი ეწოდებოდა და ჰმატებდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთი უფროსცა, და არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ მისსა. ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზეჭაბუკისა და, ვითარცა ცნა ესე, არღარა ჰყოვნა, არამედ ვითარცა ლომმან მსწრაფლ შეიპყრა, აღიყვანა და უპატიოდ მიწისა ზედა დასცა“. გვიანდელ ცნობებში, განსაკუთრებით XVII-XIX საუკუნეების წყაროებში აღწერილია ქართული ჭიდაობის წესები, გამოჩენილ ფალავანთა ბიოგრაფიები, ცალკეულ ასპარეზობათა ფრაგმენტები, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული ჭიდაობის ნაირსახეობები – რაჭული „ღოჯური“, მეგრული „მოგორდია“, სვანური „ლიბრგიელ“, ხევსურული „მოშ და მოშ“ და სხვა.

ქართული ჭიდაობა, როგორც ჭიდაობის სხვა სახეობები, ამაღელვებელი, ვაჟკაცური სანახაობაა, მაგრამ იგი თავისი შინაარსითა და ფორმით მაინც გამორჩეულია: ჭიდაობენ წელგამართულნი, ილეთები სრულდება სწრაფად, ელვისებურად, დაუშვებელია ფეხებში ხელის ჩავლება, წაქცეული ან დაჩოქილი მეტოქის ხელის ხლება, ზურგიდან შეტევა, გაჩაჩხული დგომა, სარბიელიდან გაქცევა, ძიუდოსა და სამბოსათვის დამახასიათებელი მტკივნეული და მახრჩობელა ილეთების ხმარება, იგი კრძალავს მეტოქისათვის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი ტკივილის მიყენებასაც კი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართული ჭიდაობა წმინდა სპორტული შეჯიბრებაა და არა სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა. უფრო მეტიც, მასში მრავლად არის

თეატრალური ელემენტები, რომლებიც მშვენივრად გამოხატავს ქართველის არტისტულ ბუნებას, ხოლო თვით შეჯიბრებას თეატრალიზებულ სანახაობას უახლოებს.

ქართული ჭიდაობა სამი სრულფასოვანი კომპონენტისგან შედგება, ესენია: საკუთრივ ჭიდაობა, მუსიკა და ცეკვა.

ჩვენი ეროვნული საუნჯის სიძველეზე მისი ილეთების მრავალფეროვნებაც მეტყველებს. აქ კლასიფიცირებულია ექვსი ძირითადი დარგი: სარმები, კაურები, ღოჯურები, მოგვერდები, თეძოები და კისრულები. თითოეული მათგანი უამრავ ილეთს შეიცავს, გარდა ამისა, არსებობს თავდასაცავი ფანდები და კონტრფანდები. ქართული ჭიდაობა სულ ორასამდე სხვადასხვა ილეთს ითვლის.

მუსიკალური აკომპანიმენტი ქართული ჭიდაობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია, მის გარეშე ქართული ჭიდაობა ყოვლად წარმოუდგენელია. არსებობს ერთი შესანიშნავი ხალხური სიმღერა – „გარეკახური საჭიდაო“. ბევრმა არ იცის, რომ ძველად ფალავნები სწორედ მისი თანხლებით ერკინებოდნენ ერთმანეთს, ზურნამ და დოლმა ჩვენს საჭიდაოებზე მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოიკიდა ფეხი. სამწუხაროდ, დღეს ეს ზურნაც იკარგება: აქა-იქღა შემორჩნენ დამკვრელები და იმათგანაც თითოოროლამღა თუ იცის ნამდვილი საჭიდაო ჰანგი. ამ ნახევარი საუკუნის წინათ კი ჯერ კიდევ იყვნენ ისეთი მეზურნეები, რომლებიც დაკვრით არამარტო შესანიშნავ აკომპანიმენტს უწევდნენ ფალავანთა ორთაბრძოლას და მუსიკალური რიტმის საშუალებით ერთგვარად არეგულირებდნენ ორთაბრძოლის ტემპს, „მსაჯობდნენ“ კიდეც – მათ ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ჭიდაობის წესები და დაკვრასაც ზუსტად იმ მომენტისთვის იწყებდნენ ან წყვეტდნენ, როცა ეს საჭირო იყო.

ქართული ჭიდაობის მესამე შემადგენელი ნაწილია ცეკვა. მხედველობაში გვაქვს თვითონ ჭიდაობის ფორმა, მისი გარეგნული სახე და არა ის ტრადიცია, რომლის თანახმადაც გამარჯვებულმა ფალავანმა უნდა იცეკვოს და დამარცხებულიც გაიწვიოს. ქართული მოჭიდავის მოძრაობები: მკვლავშემართული მისვლა, მიხვრა-მოხრა, ორთაბრძოლის ტემპი ზუსტად თანხვდება მუსიკის რიტმს და ამიტომ ჭიდაობა ისე ემსგავსება ცეკვას, რომ აქ საგანგებო ტერმინიც კი შეიძლება ვიხმაროთ – „საჭიდაო ცეკვა“. სწორედ ამგვარად ჭიდაობდნენ ცნობილი ფალავნები: ფარნაოზ ჩიკვილაძე, ანზორ კიკნაძე, ბუღდან ბაღაკაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი და სხვები. დღეს კი წმინდა ქართულის მოჭიდავეს, ისეთს, რომლის ჭიდაობასაც ზემოთ ნახმარი ტერმინი მოერგებოდა, სამწუხაროდ, ვეღარსად შეხვდებით.

ქართლ-კახეთის სოფლებში, სადაც ქართული ჭიდაობა ძველთაგანვე ხალხის უსაყვარლეს გასართობად და ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ითვლებოდა, ყოველთვის იყო კაცი, რომელსაც „ჩოხების შემნახველს“ ეძახდნენ. ამ ერთგვარ თანამდებობასა თუ სახელს ადამიანი ნებაყოფლობით, ყოველგვარი ძალდატანებისა და თხოვნის გარეშე ღებულობდა. ჩოხების შემნახველი ის კაცი იყო, ვისაც სისხლში და ხორცში ჰქონდა გამჯდარი სპორტის ამ ეროვნული სახეობის სიყვარული, ვისაც დღე და ღამ, ცხადში თუ სიზმარში ქართული ჭიდაობა აბოდებდა, ვინც შინ თუ გარეთ, ბანებსა თუ კალოებზე, ეზოში თუ მინდვრებში ყმაწვილებს ჭიდაობის ილეთებს ასწავლიდა, გულში გმირობის, ვაჟკაცობის ცეცხლს უღვივებდა, ვინც უპირველესი ორგანიზატორი იყო უქმე დღეებში გამართული შეჯიბრებებისა. ასეთ კაცს ებარა საჭიდაო ჩოხები და სწორედ აქედან მომდინარეობს ძველთაძველი ტერმინიც – ჩოხების შემნახველი.

ჩვენს სოფლებში, საბედნიეროდ, აქა-იქ კიდევ არის შემორჩენილი ასეთი „თანამდებობა“. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც შეხვდებით „ჩოხების შემნახველ“, ჭიდაობის ტრფიალ კაცს. მის კისერზე გადადის საჭიდაო წრის მოწყობა, სკამების გამართვა, განათების მოგვარება, დამკვრელების შოვნა, მოჭიდავეების შერჩევა, აფიშის გაკვრა და ვინ იცის, კიდევ რაღა არა! ამდენი საქმისგან გაძეძევებული ხშირად წუწუნებს კიდეც – მორჩა, ეს უკანასკნელია, ამის მეტად ჭიდაობის გამმართველი აღარა ვარო, მაგრამ კვირა დღე მოახლოვდება თუ არა, გულაჩქროლებული გარბის სამხერხაოზე, სკამების შესაკეთებლად ფიცრებს თხოულობს, ნახერხს ეზიდება, დამკვრელებს კარდაკარ უვლის – კვირისთვის მზად იყავითო, დაგლეჯილ ჩოხებს აკერებს და შაბათი რომ დაღამდება, მამლის ყივილამდე მოუსვენრად ტრიალებს ლოგინში, არ ეძინება, ყურში ზურნის ჭიჭყინი და დოლის ბაგაბუგი ჩაესმის და მერეც, როცა როდის-როდის ჩაეძინება, სიზმარშიც სულ ერთმანეთს დაძგერებული ფალავნები ელანდება, ძილგამფრთხალი გმინავს, წვალობს, ოფლში იწურება...

ჭიდაობა და ზოგადად სპორტი არც ქალაქელებისთვის იყო უცხო ხილი. თბილისში, ყველიერში იმართებოდა გრანდიოზული მუშტი-კრივი, რომელშიც მთელი ქალაქის შემძლე, მაგარი დამრტყმელი ბიჭები მონაწილეობდნენ. ყველიერშივე ეწყობოდა სპორტულ-თეატრალური სანახაობა „ყეენობა“, სადაც წარმოდგენილი იყო მტრის თავდასხმა, ყეენის მიერ მოსახლეობის დარბევა-აწიოკება და ხარკის აკრეფა. დამარცხებულები ყეენს შესთავაზებდნენ – ერთმანეთს დიდ ვნებას ნუ მივაყენებთ, გამოვიყვანოთ მოჭიდავეები და რომლის ფალავანიც მოერევა, გამარჯვებაც იმ მხარეს დარჩესო. ყეენი თანხმდებოდა, მაგრამ ორთაბრძოლაში მუდამ ქართველების ფალავანი იმარჯვებდა, რის შემდეგაც შერცხვენილ ყეენს უკუღმა შესვამდნენ ვირზე, ქუჩა-ქუჩა ჩამოატარებდნენ და ბოლოს მტკვარში გადაუძახებდნენ.

XIX საუკუნის ქართულ პრესაში მუდმივად ქვეყნდებოდა წერილები და ინფორმაციები ქართული ჭიდაობის შესახებ. 1867 წლის გაზეთ „დროებაში“ ანტონ ფურცელაძე წერდა: „მე ამ დღეებში ვნახე სხვათა შორის ერთი თვრამეტ-ცხრამეტი წლის მოჭიდავე. არ შეგიძლიან წარმოიდგინოთ მისი სისხარტე ჭიდაობაში. რამდენნარი ხერხი და ოსტატობა აქვს გამზადებული თავისი წინააღმდეგების წასაქცევად... ერთი სიტყვით, ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს, ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, სადამდის განვითარებულა ჩვენში ჭიდაობა“. მოგვიანებით კი „ივერიაში“ ვკითხულობთ: „მთაწმინდაზე გამართეს ჭიდაობა. დიდძალი ხალხი მოაწყდა. გრიგოლ ორბელიანიც დაესწრო. გულმოსული ხიზამბარელი ხომ საუცხოო სანახავი იყო. განთქმულ ათოლას აღარა გაუვიდა რა გმირთან და მოიდრიკა ქედი ხიზამბარელის წინ“.

ვინ იყო „გმირი ხიზამბარელი“, ან ეს „განთქმული ათოლა“ ვინღა იყო?

დათა ხიზამბარელის წინაპარი ქართლში გიორგი სააკაძეს ჯავახეთიდან, კერძოდ, სოფელ ხიზაბავრადან ჩამოუყვანია და ნოსტეში დაუსახლებია. დათა, რომელიც პაპაჩემის, ილა ხიზამბარელის ბიძა იყო, დაიბადა 1849 წელს, მოიპოვა უძლეველი მოჭიდავის სახელი, იყო ჯერ თარხნიშვილების, მერე კი თვით გრიგოლ ორბელიანის ფალავანი, 25 წელი იცოცხლა და ბოლოს უშვილძიროდ გადაეგო. მისი მამა-ბიძები, მერე კი თვითონ და მისი ძმები, მთელს ქართლში განთქმული მომკალები ყოფილან. მიწები იმდენი არა ჰქონიათ რა, მაგრამ ქირაზე დადენილან და სარჩოსაც თურმე კარგს შოულობდნენ. სეზონზე ყანას მკიდნენ, სხვა დროს კი მეტივეობას მისდევდნენ. ერთი სიტყვით, სანდრა, მიტრა და დათა ხიზამბარელების ბადალი მუშა იმ არემარეზე არ დადენილა. ამათში განსაკუთრებით მაგარი ყოფილა დათა. თურმე მისი მოღლა არ იქნებოდა, სამი დღე და ღამე გადაბმულად რომ სჭეროდა ნამგალი, ხელიდან არ გააგდებდა.

ერთხელ, ერთ ირანელ სოვდაგარს თბილისში ბუმბერაზი ტანისა და გასაოცარი ფიზიკური ძალის მოჭიდავე ჩამოუყვანია. ამ ფალავანს მთელი მცირე აზია ტრიუმფით შემოევლო და ახლა თავისი უძლეველობის დასამტკიცებლად საქართველოსაც სწვეოდა. ეს საკვირველი კაცი, რომელსაც სამი კამეჩისოდენა ღონე ჰქონია, თურმე მკლავზე იოლად იხვევდა რკინის კეტებს, მარილის ორფუთიან ქვებს კენჭებივით ათამაშებდა და მუშტის ერთი დარტყმით ხარს აქცევდა. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოაწყდნენ თბილისს სახელისა და ჯილდოს მაძიებელნი, მაგრამ უცხოელი მოჭიდავე ვერავინ დაჯაბნა. მარტო ერთ საღამოს, მთაწმინდაზე, მას თოთხმეტი ფალავანი წაუქცევია. ასევე მოქცეულა მეორე საღამოსაც და მომდევნო შაბათ-კვირასაც.

შეფიქრიანებულან ქალაქელები. ხუმრობა საქმე იყო? – ვიღაც გადამთიელი სახელს ურცხვენდა ქართველ ფალავნებს, საჭიდაოზე ჭიპმოჭრილებს. სადღა გამოეყოფოდათ თავი?!

არნახული გამარჯვებით გაყოყოჩებული, ინდაურივით გაფხორილი ირანელი კი თურმე გაიძახოდა – ან ჩემი ფარდი დამჭიდეთ ვინმე, ან არა და ჩემი წონა ფული მომეცით და შინ ისე გამისტუმრეთო.

შეფიქრიანებულა ჭიდაობის დიდად მოყვარული პოეტი, მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ორბელიანიც, გაუკითხ-გამოუკითხავს – ნუთუ არავინ არი, ნუთუ საქართველო ისე დავარდა, რომ ამ ოხერი ირანელის ჯავრი არავინ ამოგვყაროსო!

თარხნიშვილს უთქვამს: ერთი ბიჭი ვიცი, რკინის მკვნეტელია, ჭიდაობისა რა მოგახსენო, მაგრამ იმისთანა მომკალი დედამიწის ზურგზე არ მეგულებაო!

– ჩამოიყვანეო! – უბრძანებია გენერალს.

ჩაუყვანიათ ეს დათა ხიზამბარელი – 18-19 წლისა, დაბალი, განიერი, განივრად ჩადგმული, არწივის ნისკარტივით მოკაუჭებულცხვირიანი, თვალების მოზვერივით მობრიალე.

– რას იზამ, ბიჭო, დაეჭიდებიო?

– როგორც თქვენ მიმბრძანებთ, ბატონოო.

– რო წაგაქციოსო?

– რა ვიცი, ცემა მორევაზეაო...

– მაშინ დაეჭიდეო!

იმავე შაბათს გამართულა დიდი ჭიდაობა. მთელ ქალაქს მთაწმინდაზე მოუყრია თავი. გამოსულა წელზევით შიშველი ირანელი, ცხიმით ტანგაპოხილი, ბრგე, მაღალი, მკერდგანიერი, ქორულად მზირალი. ჩამოუვლია წრეზე, დამცინავი ღიმილით ჩამოუთვალიერებია საჭიდაოზე შეყრილი დაბოღმილი ქართველობა.

დაუკრეს „საჭიდაო“...

გადმოხტა წრეში შავჩოხიანი ხიზამბარელი, ირანელს მიმინოსავით ჩამოუქროლა, გაეთამაშა, შეუვარდა უეცრად წელში, გადაავლო და ის იმოდენა ვაჟკაცი მიწაზე დაანარცხა!

ატყდა ერთი ყიჟინა და აურზაური.

ქართველებმა სიხარულისგან ქუდები ცას ესროლეს, მისცვივდნენ ხიზამბარელს, ეხვევიან, ჰკოცნიან, მაგრამ ირანელის თანმხლებნი ახირებულან

– უჯერო იყოო, ჩვენს ფალავანს ჯერ სალამი არ დაემთავრებინა, თავიდან დავჭიდოთო!

რაღას იზამდნენ, დაუკრეს თავიდან, თავიდან გამოვიდა ირანელიც, ამჯერად, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული, სახეჩატეტკილი.

გადმოხტა ხიზამბარელიც.

იმის დანახვაზე ხალხმა ყიჟინა დასცა.

გახურდა „საჭიდაო“.

ხიზამბარელმა ირანელს მკლავში ხელი სტაცა, გაექცა, გაიტყუა, წრეზე გაიტაცა, ლამის ორჯერ შემოარბენინა ნახერხმოყრილი საჭიდაო, უეცრად, შედგა, შებრუნდა და თავისზე თითქმის ორჯერ უფრო ზორბა ფალავანი ზეზელა კისრულით წაიღო...

გამოცვივდნენ ირანელის ამფსონები, თავიანთ მოჭიდავეს ფეხებზე დაებღაუჭნენ, მაგრამ ხიზამბარელმა უკან მიიხედა, გაეცინა და უთხრა: ეხლა, თუ გინდათ, ყევარი ხარ-კამეჩი ჩაუბით, მაინც გადავიტანო... და გადაიტანა!

ირანელთან გამარჯვებამ დათა ხიზამბარელს შორს გაუთქვა სახელი, გუშინდელი ტლუ ბიჭი ჭიდაობის მოტრფიალეთა კერპად აქცია. ვინმე „ძველი მოჭიდავე“ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ წერდა – საქართველოში ბევრი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელივით სახელი არავის გაუთქვამსო. იმასაც ამბობენ, თითქოს აკაკი წერეთელს „ბაში-აჩუკში“ აღწერილი ჭიდაობის სცენა ხიზამბარელისა და ირანელი ფალავნის შერკინებამ შთააგონაო. ადვილი შესაძლებელია, მართლაც ასე იყოს, რადგან აკაკის ძალიან უყვარდა ქართული ჭიდაობა და მთაწმინდაზე გამართულ შეჯიბრებებს ხშირად ესწრებოდა ხოლმე.

თარხნიშვილმა დათა ხიზამბარელს სოფელ ჩოჩეთში ადგილ-მამული უბოძა. დათამ თურმე სახლის მშენებლობა წამოიწყო, მაგრამ ვეღარ დაასრულა – ჭიდაობას გადაჰყვა, აღარც სამკალში დასდევდა ძმებს და აღარც ტივზე. დადიოდა, ჭიდაობდა, სახელს იხვეჭდა. გემო გაუგო ღვინოსა და ორთაჭალის ბაღებში ქეიფს. ბოლოს ერთი ზნე დასჩემდა: ჭიდაობის დაწყების წინ ხელადით ღვინო უნდა მიერთმიათ. ხელადას მიიყუდებდა, გამოსცლიდა და მერეღა გაექანებოდა მეტოქისკენ... ერთხელ ვიღაც ავლაბრელი მოჭიდავე წაუქცევია და გვიან ღამით შინ მიმავალი, ნასვამი, იმის ამფსონებს ჩაუკლავთ რკინის კეტებით.

დათა ხიზამბარელმა სულ რაღაც 25 წელი იცოცხლა, მაგრამ საქართველოში ისეთი სახელი დატოვა, რომ ხიზამბარელი და ხიზამბარელობა ბეჭდაუდებელი ფალავნობის სინონიმებად იქცა, თუმცა... ერთხელ, ქალაქში ხმა

გავარდნილა – ხიზამბარელი ათოლა გლდანელს წაუქცევიაო და, მართალია, მეორედ შეხვედრისას დათას სულ ადვილად დაუჯაბნია მეტოქე, ეს მარცხი მაინც შავ ლაქად მოეცხო მის ბრწყინვალე სახელს.

მართლაც და ვინ იყო ეს ათოლა გლდანელი?

საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ფონდში, რომელიც 1991-92 წლის თბილისის ომის დროს მთლიანად დაიწვა, ერთი გაყვითლებული რვეული ინახებოდა („ჩემი მოგონებანი“ ს. გ. მ. – №2744), ეს გახლდათ ძველი მასწავლებლის ივანე ავალიშვილის მემუარები, რომელშიც ავტორი, სხვათა შორის, ხიზამბარელისა და ათოლა გლდანელის შეხვედრის შესახებაც მოგვითხრობდა და ერთგვარად ფარდას ხდიდა 130 წლის წინანდელ საიდუმლოებას, ათასნაირი მითქმა-მოთქმის საბაბად რომ იქცა იმდროინდელ საქართველოში. აი, ისიც: „1886 წლის ენკენისთვის პირველ რიცხვებში მარტყოფში, ჩემი სკოლის წინ ერთი ხანში შესული, მაგრამ ახოვანი და მეტისმეტად მიმზიდველი სახის კაცი შევნიშნე. ის, როგორც ჩანს, ვიღაცას ელოდებოდა, სიცხისაგან შეწუხებული მოუთმენლად სცემდა ბოლთას გზაზე. იქაური არ უნდა ყოფილიყო და რაკი მეც მარტო ვიყავი, გამოვემცნაურე და ბოლოს სადილადაც მივიპატიჟე. შინ რომ შევედით, სადაურობა და ვინაობა გამოვკითხე. მითხრა, გლდანელი ვარ, ათოლას მეძახიანო. ამის გაგონებაზე ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას ძმა. – **ნ.შ.**) სიტყვები გამახსენდა – „ჩვენში ამბობენ, რომ ხიზამბარელი ათოლამ წააქციაო“. მაშინ კულა გლდანელზე ბევრს ლაპარაკობდნენ – კარგი მოჭიდავე იყო და იმდროინდელ საქართველოში ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. მოხუცს ვკითხე, კულას ხომ არ იცნობთ-მეთქი. როგორ არ ვიცნობ – ჩემი ძმისწულიაო.

– ეჰ, დაიღუპნენ ეხლანდელი მოჭიდავეები! წაიქცევიან და ისევ ჭიდაობენ. უწინ, მოჭიდავე რომ წაიქცეოდა, გათავებული იყო, საჭიდაოდ გამოსულს ვეღარ ნახავდით. ეგ ჩემი ძმისწული ვინ იცის, რამდენჯერ წაქცეულა და მაინც კიდევ ჭიდაობს.

– თქვენ კი არ ჭიდაობდით უწინ?

– როგორ არა, ვჭიდაობდი. წამაქციეს და მას უკან აღარ მიჭიდავია...

– ვინ წაგაქციათ?

– ხიზამბარელმა, თუმცა, ჯერ მე წავაქციე!

– მერე, თუ კი წააქციეთ, რაღად იჭიდავა?

– თავადები არ მოეშვნენ, ძალით აჭიდავეს. მცხეთაში მე წავაქციე და იმან მთაწმინდის მოედანზე წამაქცია.

– კარგი ვაჟკაცი იყო ხიზამბარელი?

– მშვენიერი. ძალიან ვაჟკაცი იყო. ის რომ მოჭიდავისკენ გაექანებოდა, ძალიან ყოჩაღი უნდა ყოფილიყო, რომ არ შეშინებოდა და არ გაქცეოდა.

– დიდხანს იჭიდავეთ პირველად?

– ძალიან მოკლე ხანს. მანამ შევხვდებოდი, ბევრჯერ მინახავს იმისი ჭიდაობა – ის რომ მეტოქეს მოიკიდებდა, კამეჩის სიმძიმეც რომ ყოფილიყო, მაინც გადაიტანდა... მეშინოდა იმისი, ვერ ვუბედავდი შებმას, მაგრამ რაკი ჭიდაობ და ერში მიხვალ, ვინც შეგხვდება, უნდა დაეჭიდო. მეც დავეჭიდე.

ხიზამბარელი რაღაც თავის ფერზე ვერ იყო, უნდოდ, უხალისოდ გამოვიდა. ჩოხის სახელოში რომ ჩავკიდე ხელი და ღონის მოსასინჯად შევანჯღრიე, ძალიან მჩატე, უღონო მეჩვენა. ადვილად წავაქციე. ზემოდან რომ დავაწექი, მაშინ მითხრა – ბედი გქონია, დაგრჩიო. თურმე ავად ყოფილიყო.

ჩემმა სიყმემ, მეწყინა – ნეტავ ავადმყოფს არ შევყროდი-მეთქი. თავადებმაც შეიტყვეს ეს ამბავი და შემომთავაზეს, მეორედ დაეჭიდეო. თუ კიდევ დამეჭიდება, რატომ არა-მეთქი. უნდა გითხრა, იმასთან ჭიდაობა მეც ძალიან მინდოდა. მეცოდებოდა, ავად ყოფილიყო და იმიტომაც მეჩვენა ეგრე ქანქლედ.

ხიზამბარელი დიდხანს უარობდა – წაქცეული ვარ და აღარ ვიჭიდავებო, მაგრამ თავადებთან ვერა გააწყო რა და მთაწმინდაზე დაგვჭიდეს.

გავიხადეთ ორთავემ. იმას, ჩვეულებისამებრ, ხელადით ღვინო მოუტანეს და მიიყუდა, მერე ქორივით გამოქანდა ჩემსკენ. ის იყო, გავიფიქრე – ეხლა კი თავის ჯავარზეა ხიზამბარელი, მე ამას ვერ გავუძლებ-მეთქი, რომ დამირბინა, საყელოში ჩამტაცა ხელი და კიდეც მომიკიდა. ის რაკი მოიკიდებდა, გადაუტანელს არ დასტოვებდა და მეც ისე დამცა, რომ ვერ ავდექი, სხვებმა ამაყენეს. სამი წელიწადი ტომარას ვერავის ვუწევდი. ჭიდაობითაც მას შემდეგ აღარ მიჭიდავია.

ეხლა რა, ეხლა ეგ ჩემი ძმისწული, ვინ იცის, რამდენჯერ წაიქცა და მაინც კიდევ ჭიდაობს“.

მართლაც, ძველი ფალავნების წასვლის შემდეგ ჭიდაობასთან დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქართულ ჭიდაობაში ფული ჩაერია, რამაც ჭიდაობა სარფიან საქმედ აქცია, მოჭიდავე კი – საქმოსნად,

ხიზამბარელი ცოცხალი აღარ იყო; უგზოუკვლოდ დაკარგულიყო ლამის იმისი ფარდი კოპიტაშვილი; ეს კეთილშობილი მოხუცი ათოლაც აღარ

ჭიდაობდა, ბურთი და მოედანი ახალი თაობის მოჭიდავეებს დარჩენოდათ, ახლა ისინი ტრიალებდნენ საჭიდაო „კრუგებში“, ახლა იმათ აქებდნენ და ადიდებდნენ ჭიდაობის მოყვარულები.

ქართული ჭიდაობა თანდათანობით საქართველოს ქალაქებშიც დამკვიდრდა. შეჯიბრებები იმართებოდა: ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, გორსა და თელავში. თბილისის თითქმის ყველა უბანს თავისი საჭიდაო ჰქონდა, მაგრამ სულ ახალი და ახალი „კრუგები“ ეწყობოდა დიდუბეში – იტალიელების ბაღში, ფიქრის გორაზე, ავლაბარში, ელისაბედის ქუჩაზე, ციციშვილების მამულში, რომელსაც „კნიაზების გადახურულ კრუგს“ ეძახდნენ, ორთაჭალაში, მახათაზე, ხუდადოვის ტყეში და სხვაგან. ჭიდაობა თანდათან ფულიან მაყურებელს იზიდავდა. სწორედ ამან გამოიწვია საჭიდაო მოედნების კეთილმოწყობა, მათი გადახურვა, სკამების გამართვა. პირველი ასეთი ცირკი თბილისში მოაწყო ვინმე ეფიმოვმა, ხოლო ნიკიტინმა ზედ გოლოვინის პროსპექტზე ააშენა საჭიდაო დარბაზი. მოგვიანებით, 1913 წელს, ვერის დაღმართზე ესიკოვსკის ცირკიც აშენდა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ასპარეზზე სწორუპოვარი ფალავნები: კულა გლდანელი, იაკობ ეგნატაშვილი, კოსტა მაისურაძე, ნესტორ ესებუა, დათა ავლაბრელი, ვანო აბულაძე (კამბეჩუა), იოსებ ცერაძე და სხვები.

1812 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „მშვენიერი თვალტანადია გლდანელი, ვიწრო ჩოხა შემოწურული, სწორედ გმირსა ჰგავს, როდესაც გამოვა მოედანზე. მისი ამაყი, დარწმუნებული სიარული, მედიდური მიხრა-მოხრა, განიერი და ძარღვიანი გულ-მკერდი მართლაც სასიამოვნო სანახავია“.

კულა გლდანელი – ვანო ყირიმელაშვილი დაბადებულა სოფელ გლდანში 1858 წელს. მას თავისი გასაოცარი ფიზიკური მონაცემებით თავიდანვე მიუქცევია ჭიდაობის მცოდნეთა ყურადღება. ბიძას, ათოლას უთქვამს, ამ ბალღისგან მაგარ მოჭიდავეს გამოვიყვანო და მართლაც, ბევრი წვრთნისა და ვარჯიშის შემდეგ ვანო ისეთი ფალავანი დამდგარა, რომ თურმე ვეღარავინ უძლებდა. საერთოდ მოჭიდავემ ერთი-ორი ილეთის ამოჩემება იცის, დახვეწს, კარგად დაამუშავებს და ყველა მეტოქესთან იმას იყენებს, მაგრამ მოწინააღმდეგემ თუ ალღო აუღო, ამგვარ ფალავანს ისეთ დღეში ჩააგდებს, სულ თავ-ბედს აწყევლინებს. კულა გლდანელს ქართული ჭიდაობის იმდენი ილეთი სცოდნია და ყველა მათგანს ისე უნაკლოდ და დროულად იყენებდა, რომ მისი წაქცევა თითქმის შეუძლებელი გამხდარა. მალე კულამ არამარტო საქართველოში, მთელ კავკასიაში გაითქვა სახელი. „კულა გლდანელმა მისცა ქართულ ჭიდაობას თეატრალური სპორტის ხასიათი, პირველმა დააარსა თბილისში ეგრეთწოდებული საჭიდაო წრე, რაზედაც მთელი ამიერკავკასიიდან თავს იყრიდნენ სახელგანთქმული მოჭიდავენი და საზოგადოებას აჩვენებდნენ

თავიანთ უნარსა და ხერხიანობას (**გ. ლომიძე**, „კულა გლდანელი“. თბილისი, 1927 წ.).

ქართველი მოჭიდავეების ჯგუფები კულას მეთავეობით საგასტროლოდ დადიოდნენ და ჭიდაობით ფულსა და სახელს შოულობდნენ. თვითონ კულა გლდანელი თითქმის ყოველწლიურად ჩადიოდა ბაქოში და იქ გამართულ შეჯიბრებებზე ზედიზედ ამარცხებდა სპარსელ ფალავნებს – ხუშტურ-ბეგსა და მურშუდს, ადარბადაგელ ალთიაილუღას და სხვებს.

თავის მხრივ თბილისშიც იწყეს ჩამოსვლა გასტროლიორებმა ინდოეთიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან, ფინეთიდან და იაპონიიდანაც კი. თბილისის ცირკებში გამოსულან: გამა ინდოსტანი, კახუტა სეიდი, სტანისლავ ზბიშკო-ციგანევიჩი, ალექს აბერგი, გუსტავ ფრისტენსკი, ციკლოპ ბენკოვსკი, სარი სულეიმანი, კარლ პოსპეშლი, იამაკატა მაკნაურა („ხუნხუზი“), ჩემბერ ჩიპსი, ჯოემორა და სხვები.

რაკი ჭიდაობით ფულს შოულობდა, კულა ხშირად ქველმოქმედებასაც ეწეოდა – ღარიბსა და ქვრივ-ობოლს ეხმარებოდა. ერთხელ, თურმე, თავის მეგობრებთან ერთად თიანეთში დიდი ჭიდაობა გაუმართავს და იქ აღებული ფულით ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში სასწავლებლად გაუგზავნია.

ხალხს უყვარდა თავისი ფალავანი, პატივს სცემდა მას, სადაც კულა გამოჩნდებოდა, რომც არ ეჭიდავა, მაინც მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. იგი ყველას დაუმარცხებელ გმირად მიაჩნდა, მაგრამ ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო და მასაც გამოუჩნდა ღირსეული მეტოქე – ნესტორ ესებუა.

ნესტორი სამეგრელოში, სენაკის რაიონის სოფელ სორტაში დაიბადა, ერთხანს ბათუმში, როტშილდის ქარხანაში მუშაობდა, სწორედ იქ გაიცნო მან კულა გლდანელი. 1885 წლის აპრილში კულა თავისი ამფსონებით ბათუმს სწვევია, სადაც საჩვენებელი ჭიდაობა გაუმართავს და ბოლოს მაყურებლიდან მასთან დაჭიდების მსურველი ასპარეზზე გამოუწვევია. გამოსულა ნესტორ ესებუა – ტანწვრილი, 21 წლის მაღალი ბიჭი, რომელსაც ყველას გასაკვირად კულა წაუქცევია. გლდანელს თავისი დამარცხება შემთხვევითობისთვის დაუბრალებია და ესებუა საჭიდაოდ ახლა ქუთაისში გაუწვევია. ქუთაისში მათი შერკინება უშედეგოდ დამთავრებულა, ამიტომ გადამწყვეტი შეხვედრისათვის ახლა თბილისში წაუყვანია. თბილისში ეს შეხვედრა 1885 წლის 31 აგვისტოს შემდგარა „იტალიელების ბაღში“.

მთელი ამ ამბიდან კარგად ჩანს მაშინდელი უცნობი „შოუმენისა“ თუ „მენეჯერის“ დიდი ნიჭი და უნარი ხალხის დაინტერესებისა. მართლაც, იტალიელების ბაღს უამრავი მაყურებელი მოაწყდა. აი, როგორ აღწერს ამ სანახაობას გაზეთი „დროება“:

„შეხვედრას მრავალი მაყურებელი დაესწრო. პირველი ხალიჩაზე გამოვიდა კულა, რომელიც ჩვეულებრისამებრ შეხტა და ხალხს თვალი გადაავლო. კულას სახეზე გამოხატული იყო გამარჯვების იმედი და გაბედულება. კულას შემდეგ გამოვიდა კოხტად მოყვანილი ტანის ახალგარზდა ბიჭი – ნესტორ ესებუა, რომელსაც ემჩნეოდა შიში დამარცხებისა. ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს მოწინააღმდეგეებმა, შეტაკებაში პირველად გლდანელმა წააქცია ესებუა, მან ისე რიხიანად დაატრიალა ის, რომ ყველას ეგონა, მიწიდან მოწყვეტს და ჰაერში აისვრისო, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავე გამაგრდა და საპასუხოდ დასცა მოწინააღმდეგე პირქვე, მაგრამ კულა მალე წამოხტა ფეხზე, მივარდა ესებუას გამხეცებული და კისრულით დასცა მიწაზე, მხოლოდ ერთი მხარით. ესებუას დამარცხება ვერც ამჯერად შესძლო გლდანელმა, ისინი ორივენი წამოდგნენ ფეხზე და განაგრძეს ჭიდაობა. კულამ მეორედ გადმოიტანა კისრულზე ნესტორი უფრო უკეთესად, ვიდრე პირველად, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისი საბოლოოდ დამარცხება. ისინი ხელმეორედ წამოდგნენ ორივენი ფეხზე და მესამედ შეეჯახნენ ერთმანეთს. ახლა კი გაცეცხლებული მეგრელი ვეფხვივით მივარდა კულას და დასცა ბეჭებზე, რითაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება“.

ნესტორ ესებუამ ამ გამარჯვებით საერთო აღიარება და ჭიდაობის ქომაგების სიყვარული მოიპოვა. მალე მან არაერთი ცნობილი ფალავანი დაამარცხა, მათ შორის: იოსებ ცერაძე, ლეკი „კაზბეგ გარა“, თურქი სარი სულეიმანი, მსოფლიოს ჩემპიონი კლემენტი ბული და სხვა მრავალი. ცხრაასიან წლებში ნესტორ ესებუა პარიზში მიიწვიეს, სადაც მან მრავალი სახელოვანი მოჭიდავე დაამარცხა და გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში.

საოცარი ფალავნები იყვნენ რაჭველი კოსტა მაისურაძე და ქიზიყელი კამბეჩუა (ვანო აბულაძე). თბილისელების უსაყვარლეს მოჭიდავეს კოსტა მაისურაძეს ბევრჯერ უსახელებია სამშობლო თავისი გამარჯვებებით არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებშიც. იგი დაჯილდოებული იყო ოქროს მედლებით ირანის შაჰის, ბუხარის ემირის, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, რუმინეთისა და მრავალი სხვა ქვეყნის საცირკო ხელოვნების მესვეურთაგან. ხოლო როცა ასპარეზზე ვანო აბულაძე გამოდიოდა, ასე აცხადებდნენ: „მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული უძლეველი მოჭიდავე, ჩემპიონი კავკასიისა, ქიზიყელი, რომელმაც გაიმარჯვა რუსეთის პირველხარისხოვან 12 ჩემპიონატში, რაშიც მიღებული აქვს პირველი პრიზები – ოქროს დიდი მედლები და ვარსკვლავები“. ეს უბრალო სარეკლამო ტრიუკი როდი იყო. ვანო აბულაძეს შეუსწავლია სხვადასხვა ჭიდაობის წესები, თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოუვლია, ყოფილა: რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, იაპონიასა და ჩინეთში და იქიდან გამარჯვებულის ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნებულა.

ასეთი სახელოვანი ფალავნები, ცხადია, თავისთავად დიდ პოპულარიზაციას უწევდნენ ქართულ ჭიდაობას და ამიტომაც საქართველოში ახალი და ახალი თაობის ფალავნები არ ილეოდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ლუკა დადიანიძე, მიხა ქურხული, თედო დიდლილოელი, გიორგი დოთიაშვილი, იოსებ ურიგაშვილი, ირაკლი კახელი (ვაჩნაძე), სანდრო კანდელაკი, კოლია ქვარიანი, გიორგი ჯიბგირი (ოდიშვილი), შაშო და გიორგი ვერელები (კახნიაშვილები), ვანო წამალაშვილი და მრავალი სხვა.

ამ ორმოცდაათი წლის წინათ საქართველოში სტუმრად მყოფი იაპონელი მოჭიდავეები მასპინძლებს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში წაუყვანიათ. კვირა დღე ყოფილა და სოფლის საჭიდაოზე, ჩვეულებისამებრ, თურმე, შეჯიბრება მიმდინარეობდა. ცხადია, იაპონელები ჭიდაობით დაინტერესებულან. პატარა ბიჭების მიერ ოსტატურად ჩატარებული სარმებით, მოგვერდებითა და კისრულებით მოხიბლულ იაპონელ ფალავანს, ოლიმპიურ ჩემპიონ სასახარას იმ ბიჭების მწვრთნელი მოუკითხავს და როცა აუხსნეს, ამ ბავშვებს მწვრთნელი არა ჰყავთ, ილეთებს ესენი ფეხისადგმისთანავე სწავლობენო, უთქვამს – ახლა კი გასაგებია ჩემთვის ქართველების ასეთი დიდი წარმატების მიზეზი მსოფლიო სარბიელზეო.

ირანის ნაკრების მწვრთნელს მანსურ მეხტიზადეს შესანიშნავი ქართველი სპორტული ჟურნალისტის, ნოდარ გუგუშვილისთვის უთქვამს: საქართველოს დიდი ამაგი მიუძღვის ჭიდაობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. უთქვენოდ ჭიდაობა ვერც კი წარმომიდგენია. ეს ჩემი რწმენაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს მრავალი წლის ცოდნა და გამოცდილებაო.

ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული განძია, მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის, როგორც უმდიდრეს ქართულ ფოლკლორსა და ხუროთმოძღვრების უმშვენიერეს ძეგლებს. ქართული ჭიდაობის დამსახურებაც არის, რომ ფიზიკურად და სულიერად ძლიერმა ქართველმა ერმა ათას სატანჯველს გაუძლო, მტრის უამრავი შემოსევა მოიგერია და ტანჯული სამშობლო დღემდე მოიტანა. ქართული ჭიდაობით საზრდოობს დღესაც ჩვენში ჭიდაობის კლასიკური სახეობები. სწორედ მისი მადლია, რომ ქართველმა ფალავნებმა მსოფლიო ასპარეზზე არაერთხელ ასახელეს საქართველო და შორს გაიტანეს მისი სახელი.